განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

**შპს საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“**

**პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

თამარ ვალიშვილი – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

**წევრები:**

ქეთევან ღვანიძე – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი

ინგა ბაქრაძე – პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

## I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: ***საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“***

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: ***შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება***

საიდენტიფიკაციო კოდი: **412683813**

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 9 აგვისტოს №-704-ე ბრძანების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით - თამარ ვალიშვილი (ჯგუფის თავმჯდომარე), ინგა ბაქრაძე (ჯგუფის წევრი), ქეთევან ღვანიძე (ჯგუფის წევრი) 2019 წლის 19, 20 და 21 აგვისტოს განახორციელა ვიზიტი შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „კავკასიონში“.*

*ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამების: „საექთნო საქმე“; „აღმზრდელი“; „ფარმაცია (სააფთიაქო)“, ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.*

*საგანმანათლებლო პროგრამების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე ქ. ქუთაისში და ქ.თბილისში.*

*19 და 20 აგვისტოს ვიზიტი მიმდინარეობდა ქალაქ ქუთაისში, 21 აგვისტოს – ქალაქ თბილისში.*

*ვიზიტის პირველ დღეს განხორციელდა დაწესებულების ზოგადი მარეგულირებელი და პროგრამებთან დაკავშირებული დოკუმენტაციის, ხარისხის მართვის სამსახურის დოკუმენტაციის გადამოწმება. განხორციელდა გასაუბრება სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან და პასუხისმგებელ პირებთან. შემოწმდა ადგილზე არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსი და ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები. განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლა და მათ ნაწილთან გასაუბრება.*

*ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტების მიერ განხორციელდა პრაქტიკის ობიექტების დათვალიერება/შემოწმება. განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრება. შემოწმდა ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.*

*ვიზიტის მესამე დღეს გადამოწმდა ქ. თბილისში არსებული მატერიალური, ადამიანური რესურსი, განხორციელდა ვიზიტი პრაქტიკის ობიექტებზე.*

*ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოხდა დასკვნის პროექტში ასასახი შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებული მიგნებების და სასწავლო დაწესებულების ფუნქციონირებასთან დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის შეჯერება.*

*დასკვნის პროექტის ძირითადი მიგნებები და ძირითადი ასპექტები ექსპერტებმა გააცნეს სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციას, პერსონალსა და საგნმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ პირებს.*

*სასწავლო დაწესებულების ადმინისტრაციამ სრულად შეუწყო ხელი ექსპერტთა მუშაობას და შეუქმნა ყველა პირობა ვიზიტით განსაზღვრული საქმიანობის განსახორციელებლად. შედეგად ვიზიტმა მთლიანობაში ჩაიარა საქმიან და კონსტრუქციულ გარემოში.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

## III. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | **მუხლი 6** | ■ | □ |
| 1.1 | დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. | **მუხლი 6 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 1.2 | დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ. | **მუხლი 6 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 1.3 | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების | **მუხლი 6 / პუნქტი გ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. | | | |
| 1.4 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები. | **მუხლი 6 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 1.5 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 6 / პუნქტი ე)** | ■ | □ |
| 1.6 | დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. | **მუხლი 6 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| **2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | **მუხლი 7** | ■ | □ |
| 2.1 | დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა–ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)** | ■ | □ |
| 2.1.2 | სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი; | **მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)** | ■ | □ |
| 2.2 | დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები; | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 2.3 | დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას; | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ■ | □ |
| 2.4 | საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში; | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ■ | □ |
| 2.5 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა; | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6 | დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ■ | □ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)** | ■ | □ |
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)** | ■ | □ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)** | ■ | □ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები. | **მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)** | ■ | □ |
| 2.7 | დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის; | **მუხლი 7 / პუნქტი ზ)** | ■ | □ |
| 2.8 | ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას; მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი; | **მუხლი 7 / პუნქტი თ)** | ■ | □ |
| 2.9 | შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს. | **მუხლი 7 / პუნქტი ი)** | ■ | □ |
| **3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | **მუხლი 8** | ■ | □ |
| 3.1 | დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს; | **მუხლი 8 / პუნქტი ა)** | ■ | □ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი; | **მუხლი 8 / პუნქტი ბ)** | ■ | □ |
| 3.3 | პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი შეირჩევა კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. | **მუხლი 8 / პუნქტი გ)** | ■ | □ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*ვიზიტის დროს ხარვეზები არ დაფიქსირებულა.*

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*1.1. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი – პროგრამის დამტკიცების რეკვიზიტები.*

*1.1. რეკომენდირებულია „საექთნო საქმის“ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პრაქტიკის ობიექტებთან ხელშეკრულებები მოყვანილ იქნას ჩარჩო–დოკუმენტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში და გასწორდეს მათში არსებული ტექნიკური ხარვეზები.*

*1.1. სასურველია „საექთნო საქმის“ მოდულების – შინმოვლის და ავადმოვლის – ჩატარება დაიგეგმოს პროგრამის განხორციელების ადგილზე – ქალაქ ქუთაისში, გაფორმდეს ხელშეკრულება შესაბამის კლინიკურ ბაზასთან.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*დანართი №2*

*1.1. რეკომენდირებულია საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) მოყვანილ იქნას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N 274/ი ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად.*

*1.1.რეკომენდირებულია, დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამების ქართული ენის მოდულები შესაბამისობაში მოიყვანოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 02/11/2017წ. N695 ბრძანებასთან.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

## VII. დაწესებულების მისია –

- *საზოგადოების ყველა ნაწილს, სარწმუოებისა და პოლიტიკური ნიშნის მიუხედავად, საშუალებას მისცემს, მიიღოს ხარისხიანი განათლება.*
- *ჩამოყალიბდეს ცოდნაზე ორიენტირებულ, ფინანსურად ხელმისაწვდომ პროფესიულ სასწავლებლად, რომელიც იხელმძღვანელებს რა დემოკრატიისა და ჰუმანიზმის პრინციპებით, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად, ითანამშრომლებს სტუდენტებთან, პერსონალთან, დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან.*
- *მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადების მიზნით, გამოუმუშავოს მათ დამოუკიდებელი აზროვნების, მეცნიერების თანამედროვე მიღწევების გააზრებულად ათვისების და პრაქტიკაში გამოყენების უნარი.*
- *სტუდენტებს გამოუმუშავდეს პროფესიული პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრის უნარი, კომუნიკაციის უნარ-ჩვევები და მაღალი ეთიკური ნორმები.*
- *მოახდინოს პიროვნული პოტენციალის რეალიზაცია, თანამედროვე ლიდერების ჩამოყალიბება, განავითაროს მათი შემოქმედებითი შესაძლებლობები,*
- *სიღრმისეული ცოდნის დონით და პრაქტიკაზე ორიენტირებულ სპეციალისტთა ჩამოყალიბება, რომლებიც მზად იქნებიან თამამად შეხვდნენ აწმყოს გამოწვევებს და თავიანთი პროფესიონალიზმით გაამდიდრონ მომავალი;*
- *ნოვატორული აზროვნების, კრიტიკულ სიტუაციებში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარისა და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე სპეციალისტთა ახალი თაობების მომზადება;*
- *ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც იქნება მაღალი აქტივობის, ჰუმანიზმის, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი, თავისუფალი პიროვნება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

## სტანდარტების შეფასება

1. საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

*დაწესებულება გეგმავს დამატებით 3 მოდულური საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას: „საექთნო საქმე“, „აღმზრდელი“ და „ფარმაცია (საფთიაქო)“.*

*ყველა პროგრამა თავდაპირველად დამტკიცებულია საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“–ს დირექტორის 2019 წლის 05 ივლისის №28/2 ბრძანებით. ზემოაღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მისამართები:*

| № | პროგრამის დასახელება | პროგრამის განხორციელების მისამართი |
|---|---|---|
| 1 | აღმზრდელი | ქ. ქუთაისი, ოცხელის №2 |
| 2 | საექთნო საქმე | ქ. ქუთაისი, ოცხელის №2 |
| 3 | ფარმაცია | ქ. თბილისი, ბაქრაძის №6 |

*<u>შემდგომში საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ დირექტორის ბრძანებით (N31/2, 19 ივლისი 2019წ.) გაუქმებულია 2019 წლის 05 ივლისის №28/2 ბრძანება მასში აღმოჩენილი ხარვეზის გამო და ისევ დამტკიცებულია ზემოთ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამები.</u> ამრიგად, ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – კოლეჯის დირექტორის მიერ – N31/2, 2019 წლის 19 ივლისის ბრძანებით. <u>უნდა აღინიშნოს, რომ პროფესიულ პროგრამებზე პროგრამის დამტკიცების რეკვიზიტის სახით მითითებულია პირველადი ბრძანების N და თარიღი – 2019 წლის 05 ივლისის №28/2. აუცილებელია საგანმანათლებლო პროგრამებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებით.</u>*

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა კრედიტებსა და საათებში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*შედეგები, სწავლებისა და სწავლის მეთოდები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.*

*პროგრამებს თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. მოდულებში მოცემულია შეფასების მიმართულებები, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.*

*საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება მოხდა საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების (მუხლი 6) თანახმად. პროფესიული პროგრამის შემუშავების ეტაპებია:1. პროფესიული პროგრამის შემუშავების ინიცირება (ხდება სწავლების ხარისხის უზუნველყოფის სამსახურის მიერ), 2. ინიცირების შემდეგ დირექტორი ბრძანების საფუძველზე ქმნის პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს, 3. პროგრამის შემმუშავებელ ჯგუფს ხელმძღვანელობს სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხოლო მასში გაერთიანებულია ამ პროგრამის მოდულების განმახორციელებელი თანამშრომლები. 4. საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე პროგრამის სრულფასოვნად მომზადების მიზნით დირექტორის მიერ განხორციელდება შესაბამისი სპეციალისტის დამატებით მოწვევა. 5. ჯგუფი შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტის პროექტს და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი დასამტკიცებლად წარუდგენს დირექტორს. 6. დირექტორს უფლება აქვს არგუმენტირებული შენიშვნების საფუძველზე პროექტი ხელმეორედ განსახილველად დაუბრუნოს ჯგუფს, ან ბრძანებით დაამტკიცოს აღნიშნული პროგრამა. 7. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამა ავტორიზაციისთვის ეგზავნება განათლების ხარისხის განვითარების ცენტრს. 8. ცენტრში პროგრამა გაივლის ავტორიზაციის პროცესს, ავტორიზაციის მიღების შემდეგ პროგრამა განთავსდება პროფესიული საგანამანათლებლო მართვის სისტემების კოლეჯის, ოფიციალურ ვებგვერდზე და კოლეჯი გამოაცხადებს სპეციალობაზე სტუდენტების მიღებას.*

*კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე (N17/2, 8.03.2019წ) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით შეიქმნა პროგრამის დამატებისათვის ჯგუფი, რომელმაც განახორციელა ახალი პროფესიული პროგრამების მომზადება.*

***საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ –***

*კოლეჯს წარმოდგენილი აქვს –*

1. *საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“, რომელიც უნდა განხორციელდეს მისამართზე: ქ. ქუთაისი, ოცხელის №2 და*
2. *საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“, რომელიც უნდა განხორციელდეს მისამართზე: ქ. თბილისი, ბაქრაძის №6.*

*<u>პროგრამებს ჰყავს სხვადასხვა პროგრამის ხელმძღვანელი, განსხვავებული პრაქტიკის ობიექტები, მატერიალური და ადამიანური რესურსი.</u>*

*პროფესიული პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის - საექთნო განათლება (Nursing) (სარეგისტრაციო ნომერი - 09109-3) საფუძველზე.*

*მისანიჭებელი კვალიფიკაცია -*

*ა) ასოცირებული ხარისხი საექთნო საქმეში/Associate Degree in Nursing (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან), კვალიფიკაციის კოდი - 0913;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*გ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში/Fifth Level Vocational Qualification in Nursing (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი), კვალიფიკაციის კოდი - 090552.*

*საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრულია: სახელწოდება, ჩარჩო დოკუმენტის სახელწოდება, სარეგისტრაციო ნომერი, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე, პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, დასაქმების სფერო და შესაძლებლობები, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, პროგრამის მოცულობა კრედიტებში, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების სპეციფიკა, კლინიკურ სწავლება-სწავლის პროცესში ჩართული ექთნების საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება-მოვალეობების რეგულირების მექანიზმის აღწერა, კლინიკური სწავლება-სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნები, პრაქტიკის ობიექტის კრიტერიუმები, სამართლებრივი საფუძვლები ჩარჩო დოკუმენტისა, რომლის მიხედვითაც შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამა, პრაქტიკის ობიექტები. პროგრამას დანართის სახით ახლავს მოდულები, პროგრამის განხორციელების სასწავლო გეგმა, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პირების შესახებ, მატერიალური რესურსის ჩამონათვალი.*

*<u>მოდულები „ქართული ენა A2" და „ქართული ენა B1" ზოგადი ინფორმაციის ნაწილში არის ჩანაწერი „პროფესიული განათლების საფეხურთან შესაბამისობა" და მითითებულია შესაბამისი საფეხური. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებული მოდულები მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ქართული ენის მოდულები შესაბამისობაში მოიყვანოს ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებასთან.</u>*

*პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მათი მოდულები ადაპტირებულია.*

*საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მოცულობა შეადგენს 180 კრედიტს, მათ შორის 9 კრედიტს შეადგენს ზოგადი მოდულები და 171 კრედიტს – პროფესიული მოდულები.*

*საექთნო განათლების პროგრამის მოცულობა ქართული ენის მოდულების გათვალისწინებით არის 210 კრედიტი. მოდულების - ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 სავალდებულოა მხოლოდ იმ ჩარიცხული პირებისთვის, რომლებსაც არ უდასტურდებათ ქართული ენის კომპეტენცია, აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება დაიწყება ქართული ენის მოდულით. არაქართულენოვანი პირებისთვის ქართული ენის კომპეტენციის დადასტურება მოხდება ტესტირების საფუძველზე.*

*მოდულების საერთო რაოდენობა გადანაწილებულია შემდეგნაირად:*

- *ზოგადი მოდულები - 9 კრედიტი;*
- *თეორიული სწავლება საბაზო მეცნიერებები - 24 კრედიტი: ჰისტოლოგია – 2 კრედიტი, ბიოქიმია – 4 კრედიტი, მიკრობიოლოგია – 4 კრედიტი, ანატომია-ფიზიოლოგია – 10 კრედიტი, პათოლოგია (პათანატომია-პათფიზიოლოგია)– 4 კრედიტი.*
- *თეორიული სწავლება საექთნო საქმე - 45 კრედიტი: დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში – 4 კრედიტი, ფარმაკოლოგია – 5 კრედიტი, ტერმინოლოგია და დოკუმენტაცია საექთნო საქმეში – 2 კრედიტი, ინფექციის კონტროლის საფუძვლები – 2 კრედიტი, გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები – 3 კრედიტი, ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები – 6 კრედიტი, თერაპიული პაციენტის საექთნო*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*მართვის საფუძვლები – 7 კრედიტი, გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები – 3 კრედიტი, კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია – 5 კრედიტი, სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები – 2 კრედიტი, პედიატრია და მოზარდები – 3 კრედიტი, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია – 3 კრედიტი.*

- *თეორიული სწავლება სოციალური მეცნიერებები - 6 კრედიტი: საექთნო პრაქტიკის პრინციპები სხვადასხვა ტიპის სამედიცინო დაწესებულებებში – 1 კრედიტი, სამართლებრივი ასპექტები საექთნო საქმეში – 3 კრედიტი, საექთნო მენეჯმენტის საფუძვლები – 2 კრედიტი.*
- *პრაქტიკული სწავლება - 6 კრედიტი: ავადმყოფის მოვლა – 4 კრედიტი, შინმოვლა – 2 კრედიტი.*
- *კლინიკური სწავლება - 90 კრედიტი: კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა – 11 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა – 6 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა – 11 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა – 6 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა- გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა – 10 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა – 5 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა – 12 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა – 4 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა – 6 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - სამეანო და გინეკოლოგიური პაციენტის საექთნო მართვა – 3 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა- პედიატრია და მოზარდები – 7 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - პედიატრია და მოზარდები – 3 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა, ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია – 3 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა - ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია – 3 კრედიტი.*

*საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს, როგორც თეორიულ და პრაქტიკულ, ასევე - კლინიკური სწავლების კომპონენტსაც. სწავლის პროცესის ხანგრძლივობა – სამი წელი. სტუდენტების შესაძლო კვირეული დატვირთვა არის 40 საათზე ნაკლები.*

*პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები – სს „ევექსის ჰოსპიტლებთან“ (ხელშეკრულება N 25, 24.05.2019წ) (ქუთაისში და თბილისში განსახორციელებელი პროგრამებისათვის), ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდთან საქართველოს კარიტასთან“ (ხელშეკრულება N22, 15.05.2019წ) (ქუთაისში და თბილისში განსახორციელებელი პროგრამისათვის), ააიპ „ქუთაისის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრთან“ (ხელშეკრულება N26, 7.06.2019წ) ((ქუთაისში განსახორციელებელი პროგრამისათვის).*

*კორპორაცია ევექსის სამედიცინო დაწესებულებებთან ხელშეკრულების მიხედვით სამედიცინო განათლების მქონე, შესაბამისი კვალიფიკაციის პირების (პრაქტიკის ხელმძღვანელების) დაკონტრაქტებას უზრუნველყოფს თავად კოლეჯი. წინადადებარე ხელშეკრულების თანახმად, პრაქტიკის განსახორციელებლად კორპორაციის ქსელში სამედიცინო ბაზებზე შესაძლებელია მიიღონ არაუმეტეს 106 პროფესიული სტუდენტისა (ორივე მისამართზე) იმ გაანგარიშებით, რომ ამავე კოლეჯის 7 პროფესიულ სტუდენტზე უზრუნველყოფილი იყოს 1 პრაქტიკის ხელმძღვანელი, რომელიც დააკმაყოფილებს წინამდებარე ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული მოდულებისა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს. კოლეჯი გეგმავს ქუთაისში 78 სტუდენტის სწავლებას, თბილისში – 90 სტუდენტის, რაც სრულად შესაბამისობაშია პრაქტიკის ხელშეკრულებასთან.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით არ არის გამიჯნული თუ რამდენი სტუდენტი შეუძლია ევექსის კორპორაციის კლინიკებს მიიღოს ქუთაისში და რამდენი თბილისში, რაც მნიშვნელოვანია კონტინგენტის განსაზღვრისათვის.*

*ხელშეკრულებაში არ არის ასახული ჩარჩო–დოკუმენტით განსაზღვრული პირობები, კერძოდ ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები (ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება-მოვალეობები, ანგარიშგების/ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება, სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის უფლებამოსილება, წახალისების და სხვა საკითხების დასმის უფლებამოსილება.*

*ხელშეკრულებაში არ ფიქსირდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები ექთნის მიმართ და პირადი დაცვის საშუალებებით სტუდენტთა უზრუნველყოფის საკითხები.*

*„ევექსის ჰოსპიტლებთან“ ხელშეკრულება ითვალისწინებს 14 კლინიკური მოდულის განხორციელებას 90 კრედიტის მოცულობით: (კლინიკური პრაქტიკა – ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა – 11 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – ქირურგიული პაციენტის საექთნო მართვა – 6 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა – თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა – 11 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – თერაპიული პაციენტის საექთნო მართვა – 6 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა – გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა – 10 კრედიტი; შემაჯამებელი პრაქტიკა – გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვა – 5 კრედიტი; კლინიკური პრაქტიკა – კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა – 12 კრედიტი; შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვა – 4 კრედიტი; კლინიკური პრაქტიკა – სამეანო და გინეკოლოგიური ავადმყოფის მართვა – 6 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა– სამეანო და გინეკოლოგიური ავადმყოფის მართვა – 3 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა – პედიატრია და მოზარდები – 7 კრედიტი, შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – პედიატრია და მოზარდები – 3 კრედიტი, კლინიკური პრაქტიკა – ფსიქიური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია ( 3 კრედიტი), შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია (3 კრედიტი). 2 კლინიკური მოდულის – კლინიკური პრაქტიკა – ფსიქიური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია და შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია – განხორციელება წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად შესაძლებელია მხოლოდ ქ თბილისში. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება მხოლოდ ზემოაღნიშნული მოდულების განსახორციელებლად:*

***აიპ „ქუთაისის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრთან*** *„ ხელშეკრულება (N26, 7.06.2019წ) ითვალისწინებდა 2 მოდულის განხორციელებას: კლინიკური პრაქტიკა – ფსიქიური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია ( 3 კრედიტი), შემაჯამებელი კლინიკური პრაქტიკა – ფსიქიკური ჯანმრთელობა და ფსიქიატრია (3 კრედიტი). უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტის დროს დაწესებულებამ დაგვახვედრა ახალი ხელშეკრულება* ***შპს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან*** *(20.08.2019წ). ხელშეკრულება გაფორმებულია ჩარჩო დოკუმენტის ყველა მოთხოვნის შესაბამისად, კერძოდ, გათვალისწინებულია კლინიკური სწავლების განხორციელების თავისებურებები და განმახორციელებელი პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნები: განათლება (საქიმო/სამედიცინო უმაღლესი განათლება/ზებიაქალის პროფესიული ან უმაღლესი განათლება/საექთნო საქმეში პროფესიული ან უმაღლესი განათლება; სამუშაო გამოცდილება (საექთნო სფეროში მუშაობის არანაკლებ 5–წლიანი გამოცდილებისა; უცხოური ენები (ინგლისური ენა A1); კომპიუტერული უნარები (საოფისე პროგრამების კარგი ფლობა). ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია კლინიკურ სწავლებაში ჩართული პირის/ექთნების უფლება– მოვალეობები: კლინიკური მოდულების გავლის უზრუნველყოფის მიზნით, პრაქტიკის ობიექტი გამოყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*გათვალისწინებული კვალიფიკაციის მქონე სტუდენტების სწავლებაზე პასუხისმგებელ პირს – ექთანს, რომელთანაც დადებულ ინდივიდუალურ ხელშეკრულებაში ცალსახად იქნება გაწერილი ექთნის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, მათ შორის – მისი ფუნქციები, პასუხისმგებლობა, უფლება–მოვალეობები, პრაქტიკის ობიექტისა და საგანმანათლებლო დაწესებულების წინაშე ანგარიშების/ ინფორმაციის გაცვლის ვალდებულება, პროფესიული სტუდენტის არადისციპლინური პასუხისმგებლობის დასმის საკითხის უფლებამოსილება, პროფესიული სტუდენტისა წახალისების საკითხები. ხელშეკრულებაში ჩაწერილია კლინიკური სწავლება–სწავლის მიმართ დამატებითი მოთხოვნა, კერძოდ, ექთნისა და პროფესიული სტუდენტების თანაფარდობა – 1/7; კლინიკური მოდულების გავლისას პროფესიული სტუდენტების პირადი დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია კოლეჯი.*

***ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასთან“*** *(N HD 1-7-2019, 15.05. 2019წ., N22) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია 3 პროფესიული მოდულის განხორციელება თბილისის მისამართზე – 9 კრედიტის მოცულობით (გერონტოლოგია და გერიატრიის საფუძვლები – 3 კრედიტი; ავადმყოფის მოვლა – 4 კრედიტი, შინმოვლა – 2 კრედიტი) და 2 პროფესიული მოდულის განხორციელება თბილისის მისამართზე – 6 კრედიტის მოცულობით (ავადმყოფის მოვლა – 4 კრედიტი, შინმოვლა – 2 კრედიტი).*

*<u>წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს საექთნო საქმის მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის თეორიულ და პრაქტიკულ კომპონენტზე პროფესიული სტუდენტების დაშვების საკითხს. სასურველია გასწორდეს ეს ჩანაწერი.</u>*

*„საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“ მდებარეობს ქალაქ თბილისში. კოლეჯის დირექტორის განმარტებით, სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან ტრანსპორტით და იცხოვრებენ თბილისში მოდულის ჩატარების დროს. სასურველია შინმოვლის და ავადმყოფის მოვლის მოდულების წარმართვა მოხდეს პროგრამის განხორციელების ადგილზე – ქალაქ ქუთაისში, გაფორმდეს ხელშეკრულება შესაბამის კლინიკურ ბაზასთან.*

*ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა პრაქტიკის ობიექტები, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში – შპს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი; ქალაქ თბილისში – „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი“. ობიექტებზე ჩატარდა ინტერვიუ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, დადგინდა აღნიშნული ობიექტების მზაობა სტუდენტების მიღებისათვის.*

***2. საგანმანათლებლო პროგრამა „აღმზრდელი“ –***

*საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 12 დეკემბრის N192/ნ ბრძანებით დამტკიცებული ''აღმზრდელის'' პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე და დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონის დირექტორის 2019 წლის 19 ივლისის N31/2 ბრძანებით. (სპეციალიზაციის კოდი 030255) <u>(პროფესიულ პროგრამაზე აღნიშნულია პროგრამის დამტკიცების ძველი ბრძანების ნომერი და თარიღი (2019 წლის 05 ივლისი №28/2 , რომელიც გაუქმებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 19 ივლისის N31/2 ბრძანებით, შესაბამისად საჭიროა პროფესიულ პროგრამებში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის დამტკიცებასთან დაკავშირებით).</u>*

*საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, საფეხური, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა კრედიტებსა და საათებში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები,*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*სწავლებისა და სწავლის მეთოდები, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები.*

*პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ და სასწავლო გეგმა, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.*

*საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია.*

*საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 116 კრედიტია. აქედან, ზოგადი მოდულების ჯამური კრედიტების რაოდენობაა 11, ხოლო სპეციალიზაციის/ პროფესიული/დარგობრივი მოდულების - 105 კრედიტი. საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის 146 კრედიტია.*

*<u>მოდულები „ქართული ენა A2" და „ქართული ენა B1" ზოგადი ინფორმაციის ნაწილში არის ჩანაწერი „პროფესიული განათლების საფეხურთან შესაბამისობა" და მითითებულია შესაბამისი საფეხური. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებული მოდულები მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ქართული ენის მოდულები შესაბამისობაში მოიყვანოს ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებასთან.</u>*

*მისანიჭებელი კვალიფიკაცია - მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში.*

*საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი" პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ააიპ ქ. ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან (N 7 15.02. 2019 წ.). მემორანდუმის მიხედვით - შეთანხმება მიზნად ისახავს შპს „საზოგადოებრივი კოლეჯი კავკასიონის" სტუდენტების კვალიფიკაციის ამაღლებას, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას. ააიპ ქ. ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანება იღებს ვალდებულებას პრაქტიკით უზრუნველყოს კოლეჯ კავკასიონის სტუდენტები # 12; 28; 19 და 21 ფილიალებში (ბაგა–ბაღებში) და ერთდროულად მოემსახუროს 15–30 სტუდენტს.*

*ექსპერტებმა განახორციელეს ვიზიტი პრაქტიკის ობიექტზე – ქალაქ ქუთაისის N28 ბაგა–ბაღში, სადაც ჩატარდა ინტერვიუ პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელ პირებთან, დადგინდა აღნიშნული ობიექტის მზაობა სტუდენტების მიღებისათვის.*

*შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტი პროფესიული პროგრამის „აღმზრდელი" პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება", სადაც აღნიშნულია, რომ ამ პროგრამისათვის სასწავლებელს აქვს ერთი #9 აუდიტორია, AC -ე გარემო , რომელიც წარმოადგენს 54 კვადრატული მეტრი ფართობის ოთახს, სადაც განთავსდება 27 პროფესიული სტუდენტი ერთ ცვლაში, შესაბამისად დაწესებულება ორ ცვლაში ითხოვს 56 სტუდენტის დამატებას.*

***3. საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)" –***

*საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მიერ (ბრძანება №31/2, 19.07.2019 წელი). პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ფარმაცია (სააფთიაქო)" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე - (სარეგისტრაციო ნომერი - 09110-პ), მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან); ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში /Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). აღნიშნული კვალიფიკაცია განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის ISCED-ის მიხედვით განეკუთვნება დეტალურ სფეროს - ,,ფარმაცია", კოდი 0916, აღმწერი - ,, შეისწავლის წამლებს და ადამიანზე მათ გავლენას. მოიცავს წამლის მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრირებას."*

*საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქო) მოიცავს 3 ზოგად მოდულს ჯამური 11 კრედიტის მოცულობით , 26 პროფესიულ მოდულს - ჯამური 109 კრედიტის მოცულობით და ერთ არჩევით მოდულს - 3 კრედიტის მოცულობით. კვალიფიკაციის მისანიჭებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს 123 კრედიტი, ხოლო არაქართულენოვანმა პროფესიულმა სტუდენტმა 153კრედიტი.*

*პროგრამასთან ერთად წარმოდგენილია დანართები: ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, ინფორმაცია აღჭურვილობის შესახებ, სასწავლო გეგმა და პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოდული.*

*პროგრამა და შესაბამისი მოდულები ადაპტირებულია რეკომენდაციების დაცვით, თუმცა პროგრამის ადაპტირებისას ჩარჩენილია ტერმინები ,,მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა", ,,პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა", პროგრამის დამტკიცების ძველი ბრძანება, ასევე ჩარჩო დოკუმენტის ძველი ცვლილების შესაბამისი მოდულები.*

*<u>მოდულები ,,ქართული ენა A2" და ,,ქართული ენა B1" ზოგადი ინფორმაციის ნაწილში არის ჩანაწერი ,,პროფესიული განათლების საფეხურთან შესაბამისობა" და მითითებულია შესაბამისი საფეხური (მესამე ან მეოთხე). განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებით დამტკიცებული მოდულები მსგავს ჩანაწერს არ ითვალისწინებს.</u>*

*საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმაში სტუდენტთა დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. მოდულების განხორციელების დაგეგმვისას დაცულია მოდულებზე დაშვების წინაპირობები.*

*პროგრამის ფარმაცია (სააფთიაქო) პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,ავერსი-ფარმასთან", შპს ,,იბერიფარმა+" და ი/მ [redacted]*

*ხელშეკრულების საგანია 8 პროფესიული მოდულის განხორციელება:*

*1. მომხმრებლისთვის ავადმყოფის მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;*
*2. მომხმარებელთან ურთიერთობა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;*
*3. მომხმარებლისთვის სამკურნალო და დეკორატიული კოსმეტიკის შერჩევა;*
*4. მომხმარებლისთვის ბავშვთა კვების, მოვლის და ჰიგიენის საგნების/საშუალებების შერჩევა;*
*5. მომხმარებლისთვის მცენარეული, ცხოველური და მინერალური წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური დანამატების შერჩევა;*
*6. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების გარემოსა და უსაფრთხოების წესების დაცვა ფარმაცევტულ დაწესებულებაში;*
*7. პროდუქციის მიღება-განთავსება ნაშთის პერიოდული კონტროლი და ანგარიშგება;*
*8. მცირე შეფუთვებად მზა წამლის ფორმების დაფასოება, შეფუთვა მარკირება.*

*შპს ,,ავერსი-ფარმა"- ხელშეკრულების №21. (01.05.2019 წელი) თანახმად, მზად არის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ქუთაისის საფთიაქო ქსელში მიიღოს ყოველ მიღებაზე ერთდროულად 30 სტუდენტი, ხოლო*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*თბილისის სააფთიაქო ქსელში ყოველ მიღებაზე ერთდროულად მიიღოს 15 სტუდენტი. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერიდან 3 წლის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ თუ რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე , ვადა გრძელდება ისევ 3 წლით.*

*შპს ,, იბერია ფარმა+ "- ხელშეკრულების №23. (20.05.2019 წელი) თანახმად, მზად არის სასწავლო წლის განმავლობაში წინასწარი შეთანხმების(გრაფიკით) საფუძველზე ერთდროულად 15 სტუდენტი. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერიდან 3 წლის ვადით. ვადის გასვლის შემდეგ თუ რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე , ვადა გრძელდება ისევ 3 წლით.*

*ი/მ [redacted] - ხელშეკრულების (№24. 22.05.2019 წელი) თანახმად მზად არის სასწავლო წლის განმავლობაში წინასწარი შეთანხმებით მიიღოს 30 სტუდენტი. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერიდან 3 წლის ვადით, ვადის გასვლის შემდეგ თუ რომელიმე მხარე წერილობით არ განაცხადებს ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე , ვადა გრძელდება ისევ 3 წლით.*

*დაწესებულება საგანმანათლებლო პროგრამაზე ფარმაცია (სააფთიაქო) ითხოვს მისამართების მიხედვით: ქუთაისი ოცხელის N2 -56 (28-28) სტუდენტი, თბილისი ბაქრაძის N6-60 (30-30) სტუდენტის მიღებას, რომელთა სწავლებას განახორციელებს პროგრამის ხანგრძლივობიდან 2 წელიწადში.*

*ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პირებს. დათვალიერდა პრაქტიკის ობიექტები შპს ,,ავერსი -ფარმა", შპს ,,იბერიფარმა+ ", ი/მ [redacted] [redacted] ობიექტებზე წარმომადგენლებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ ისინი არა მარტო მზაობას გამოხატავენ, არამედ მზად არიან დაასაქმონ კოლეჯის კურსდამთავრებულები მათ კომპანიებში.*

*ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით:*

*<u>1. რეკომენდებულია მოყვანილ იქნას პროგრამა (საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) დამტკიცების ბრძანება/თარიღიN407/ი 21.05.2018, ბოლო ცვლილება შეტანილია ბრძანება N274/ი 16 აპრილი 2019წ.) განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის N 274/ი ბრძანების შესაბამისად.</u>*

*<u>2. რეკომენდებულია, დაწესებულებამ ქართული ენის მოდულები შესაბამისობაში მოიყვანოს ცენტრის დირექტორის 2017 წლის 2 ნოემბრის N695 ბრძანებასთან.</u>*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *საგანმანათლებლო პროგრამებით;*
- *საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი"–ს დირექტორის 2019 წლის 05 ივლისის №28/2 ბრძანებით;*
- *საზოგადოებრივი კოლეჯი ,,კავკასიონი"–ს დირექტორის 2019 წლის 19 ივლისის №31/2 ბრძანებით;*
- *საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ,,კავკასიონი"ს დირექტორის ბრძანებით №27/2, 05.07.2019 წელი);*
- *სს „ევექსის ჰოსპიტლებთან" ხელშეკრულებით (N 25, 24.05.2019წ);*
- *ა(ა)იპ ,, საქველმოქმედო ფონდთან საქართველოს კარიტასთან" ხელშეკრულებით ( N22, 15.05.2019წ),*
- *ააიპ ,, ქუთაისის ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის ცენტრთან" (ხელშეკრულება N26, 7.06.2019წ;*
- *შპს ქუთაისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრთან ხელშეკრულებით (20.08.2019წ);*
- *შპს ,,ავერსი-ფარმასთან" ხელშეკრუულებით;*
- *შპს ,,იბერიფარმა+ " ხელშეკრულებით;*
- *ი/მ [redacted] ხელშეკრულებით;*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

- *ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით ააიპ ქ. ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან (N 7 15.02.2019 წ).;*
- *ინტერვიურებით განმახორციელებელ პირებთან, პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებთან და ინსტრუქტორებთან.*

**შეფასება:**

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.2 დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), რომელშიც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*სასწავლო დაწესებულების კატალოგი შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს. კატალოგი განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე - https://kavkasioni.edu.ge/, 2018-2019 სასწავლო წლის ვერსია. მასში წარმოდგენილია ინფორმაცია კოლეჯის ისტორიის, მისიის, კოლეჯის სტრუქტურის, სასწავლო პროცესის, პრაქტიკების, პარტნიორების, შეფასების სისტემის, სტუდენტური ცხოვრების, საკონტაქტო ინფორმაციის შესახებ. კატალოგში ასახულია დაწესებულებაში ამჟამად არსებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა(მათ შორის მილევად რეჟიმში) აღწერილობა.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვებ გვერდზე განთავსებული ელექტრონული კატალოგით https://kavkasioni.edu.ge/*

**შეფასება:**

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი

*საზოგადოებრივ კოლეჯში „კავკასიონი“ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს შესწავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ საგანმანათლებლო პროგრამებში სწავლის შედეგები, შეესაბამება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტებს და ასახავს მოდულებით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *საგანმანათლებლო პროგრამებით;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტებით;*
- *ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი.*

**შეფასება:**

☒ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე, მიღებული განათლების აღიარების წესები, რაც დასტურდება საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით.*

***პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი*** *განსაზღვრულია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მუხლი 54–ით. წინამდებარე წესის თანახმად, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღება ცხადდება კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების საფუძველზე, რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, ხანგრძლივობა, გადასახადის ოდენობა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა, განცხადებების მიღების დასრულების ვადა. ინფორმაცია პროფესიული პროგრამების შესახებ განთავსდება კოლეჯის ვებ-გვერდზე. კოლეჯში პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის მინიჭება ხდება პირადი განცხადების საფუძველზე. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული მუდმივმომქმედი აპლიკანტების საბუთების მიმღები კომისია ამოწმებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და სრულად წესრიგის შემთხვევაში განსახილველად გადასცემს დირექტორს. პირს ენიჭება სტუდენტის სტატუსი კოლეჯის დირექტორის მიერ მასთან გაფორმებული ხელშეკრულების შემდეგ და მისთვის სტუდენტის სტატუსი მინიჭების შესახებ ბრძანების გამოცემის დღიდან. არასრულწლოვანის, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შემთხვევაში ხელშეკრულებაზე ხელს აწერს მათი ნდობით აღჭურილი*

20

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

*პირი. სტუდენტის მონაცემები შეიტანება კოლეჯის სტუდენტების მონაცემთა ბაზაში, სტუდენტთა მონაცემები გადაეცემა ს.ს.ი.პ. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით. უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საქართველოს კანონმდებლობისა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განსაზღვრული წესით. სტუდენტმა ხელშეკრულების გასაფორმებლად კოლეჯის ადმინისტრაციაში უნდა წარადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია: ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში - წარმომადგენლის) განცხადება, ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი; გ) საბაზო/საშუალო საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - ატესტატი; შესაძლებელია აგრეთვე უმაღლესი განათლების დიპლომის წარმოდგენა; დ) მიმღებ კომისიას უფლება აქვს აპლიკანტთან გასაუბრების შემდეგ (საჭიროების შემთხვევაში) დამატებით მოითხოვოს ჯანმრთელობის ცნობის წარმოდგენა; ე) მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში - წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი, არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების სერტიფიკატი; ვ) თუ სტუდენტი არასრულწლოვანია, მაშინ ხელშეკრულების გაფორმებისას აუცილებელია წარმოადგინოს დაბადების მოწმობა, ან ნოტარიალურად დამოწმებული მეურვეობის დოკუმენტი; ზ) ფოტოსურათი 3X4 – ზე – 2 ცალი. აღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე კომპლექტდება სტუდენტის პირადი საქმე, რომელიც გარდა ზემოთ აღნიშნულისა უნდა შეიცავდეს კოლეჯსა და სტუდენტს შორის გაფორმებული სასწავლო ხელშეკრულებას.*

*წინამდებარე დებულების მუხლი 55–ით განსაზღვრულია* ***პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების წესი.*** *სტუდენტის სტატუსის შეჩერება ხდება კოლეჯის დირექტორის გრძანებით, სადაც მითითებული უნდა იქნეს სტატუსის შეჩერების საფუძველი. სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ კოლეჯის დირექტორის გრძანების საფუძველზე შესაბამისი ცვლილებები შეიტანება რეესტრის მონაცემთა ბაზაში. სტუდენტს სტატუსი უჩერდება მაქსიმუმ 2 წლით. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:ა) სტუდენტის განცხადებით დადასტურებული სურვილი სწავლის გაგრძელების დროებით შეუძლებლობის მოტივით (აკადემიური შვებულება და სხვა); ბ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა;*

***პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის წესი (მუხლი 57).*** *სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:*

*ა) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება შესაბამის საფეხურზე;ბ) პირადი განცხადება გ) ხელშეკრულების მოთხოვნების დადგენილ ვადებში შეუსრულებლობა;დ) თუ სტუდენტს სტატუსი შეჩერებული აქვს 2 წელიწადი; ზ) მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის გამამტყუნებელი განაჩენი. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ, რაც ფორმდება დირექტორის გრძანებით და შესაბამისი ცვლილებები შეიტანება მონაცემთა ბაზაში, პირისათვის სტუდენტის სტატუსის აღდგენის საკითხი აღარ განიხილება, ხოლო სტატუსის შეწყვეტამდე გადახდილი სწავლის ღირებულების თანხა მას არ უბრუნდება.*

***სტუდენტთა მობილობის წესი*** *(მუხლი 58). მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს პროფესიული განათლების ერთი საფეხურის ფარგლებში. მობილობის უფლება აქვს სტუდენტს, თუ: არის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტი, თუ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში განვლილი საგანმანათლებლო პროგრამა ან პროგრამის ნაწილი თავსებადია მიმღები პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულების პროგრამასთან. სტუდენტს პირადი განცხადების საფუძველზე უფლება აქვს სწავლა გააგრძელოს სხვა სასწავლებელში. კოლეჯი ვალდებულა სტუდენტს მისცეს აკადემიური მოსწრების ცნობა, რომელშიც ნათლად იქნება გაწერილი სტუდენტის მიერ კოლეჯში გავლილი დისციპლინები, შესაბამისი კრედიტებით, საათებით და შეფასებებით. სტუდენტი ვალდებულია*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

*გადაიხადოს მოთხოვნილი აკადემიური მოსწრების ცნობის ფარგლებში გავლილი პროგრამის შესაბამისი სწავლების გადასახდი. ამ დებულებით დადგენილი პირობების საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ გრძანებას, სტუდენტის სხვა სასწავლებელში გადასვლასთან დაკავშირებით. კოლეჯი, მისთვის განსაზღვრული სტუდენტთა მიღებისათვის თავისუფალი ადგილების ფარგლებში, განსაზღვრავს ადგილებს მობილობით სტუდენტების მისაღებად. სტუდენტთა რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირი, წარმოუდგენს დირექტორს წინადადებას მობილობით სტუდენტების მისაღები ადგილების რაოდენობის განსაზღვრაზე, იმ მიმართულებებისა და პროგრამების მითითებით, რომელზედაც მიზანშეწონილია მობილობით სტუდენტების მიღება.მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველი სტუდენტი ვალდებულია კოლეჯის დირექტორის სახელზე შეიტანოს განცხადება მობილობის მსურველად რეგისტრაციის თაობაზე, აგრეთვე წარმოადგინოს სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და ინფორმაცია გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ. სასწავლო ნაწილი დაადგენს პროგრამულ თავსებადობას და სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე დირექტორს წარუდგენს დადებით/უაროფით მოსაზრებას სტუდენტისთვის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით. ამ დებულებით დადგენილი პირობებისა და მობილობის მსურველი სტუდენტის თანხმობის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ გრძანებას, სტუდენტისთვის სტატუსის მინიჭებს შესახებ.*

***მიღებული განათლების აღიარების წესები*** *განისაზღვრება წინამდებარე დებულების მუხლი 60 და 61–ით.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს დირექტორის გრძანებით №27/2, 05.07.2019 წელი);*

**შეფასება:**

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებას შემუშავებული აქვს, საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები, რაც აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მუხლი 62–ში: დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში, სტუდენტებს საკუთარი სურვილით შეეძლებათ სწავლის გაგრძელება: ა) ამავე დაწესებულებაში, არსებული საგანმანათლებლო პროგრამებით;ბ) ამავე დაწესებულებაში, შეცვლილი საგანმანათლებლო პროგრამებით;გ) სხვა ანალოგიურ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის გზით,იმავე ან სხვა ანალოგიური პროგრამებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების მობილობას სხვა სასწავლებელში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს დირექტორის ბრძანებით №27/2, 05.07.2019 წელი);*
- *ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება საქართველოს კერძო კოლეჯებს შორის.*

**შეფასება:**

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**1.6 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად.*

*კოლეჯში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით შექმნილია შიგა მონიტორინგის ჯგუფი. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ სასწავლო ნაწილის სამსახური, ადმინისტრაციის სხვა თანამშრომელი და პედაგოგები. შიგა მონიტორინგის მიერ შეფასება ხორციელდება დირექტორის მიერ დამტკიცებული სპეციალური ოქმის მიხედვით. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დამოუკიდებლად ყოველი თვის დასაწყისში გეგმავს მინიმუმ თვეში ორჯერ თითოეულ პროგრამაზე დასწრებას, განსაზღვრავს პედაგოგს, დისციპლინასა და დასწრების თარიღს. მონიტორინგის ჯგუფი ადგენს ოქმს და გადასცემს საქმის წარმოების სამსახურს. სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური წელწადში (იანვარში და ივლისში) ორჯერ წარუდგენს ანგარიშს დირექტორს. სასწავლო პროცესის უხეშად დარღვევის შემთხვევაში სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა სასწრაფოს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია დირექტორს.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებებით (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს დირექტორის ბრძანებით №27/2, 05.07.2019 წელი);*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

**შეფასება:**

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2. მატერიალური რესურსი**

**2.1 დაწესებულების საკუთრებასა ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:**

**ა) ერთ მისამართზე შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი;**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ ფუნქციონირებს 2 მისამართზე:*

- *ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ.N2 – იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს 1196,28 კვ.მ. მე–5 და 6 სართულზე (იჯარა გაფორმებულია შპს ევროპულ საგანმანათლებლო ცენტრთან);*
- *ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ. N6 – საკუთრებაში არსებული 538,55 კვ.მ. უძრავი ქონება (მე–2 სართულზე 226,9 კვ.მ. და 76,3 კვ.მ; მე–3 სართულზე – 169,8 კვ.მ. და 65.55 კვ.მ).*

**დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:**

| № | მისამართი | კვ.მ. |
|---|---|---|
| 1 | ქ.ქუთაისი, ოცხელის ქ.N2 | 1196,28 კვ.მ (მე–5,მე–6 სართული) |
| 2 | ქ. თბილისი, ბაქრაძის ქ.N6 | 538,55 კვ.მ. (მე–2, მე–3 სართული) |

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *საიჯარო ხელშეკრულებით;*
- *ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი –* [redacted]
- *ამონაწერით საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო კოდი –* [redacted] *;*
- *ვიზუალური დათვალიერებით.*

**შეფასება:**

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**ბ) სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

*ორივე მისამართზე დაწესებულებას აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებს. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო (მოდულური) პროგრამების აღჭურვილობა გადამოწმდა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის წარმოდგენილ ცხრილებთან შესაბამისობით. ადგილზე დათვალიერებით დადასტურდა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ფლობა.*

***საგანმანათლებლო პროგრამა „საექთნო საქმე“ –***

*<u>ქუთაისი, ოცხელის N2:</u> პროგრამას ემსახურება 1 AC გარემო (აუდიტორია N2 – 52 კვ.მ), რომელიც გათვლილია 26 სტუდენტზე და მოწყობილია შესაბამისი აღჭურვილობით და 1 B გარემო 16 კომპიუტერით და შესაბამისი მაგიდა-სკამებით, მასწავლებლის მაგიდით და კომპიუტერით, პროექტორით, პრინტერი-სკანერი-ქსეროქსის (კომბაინი) აპარატით. შესაბამისად, 1 ცვლაში ერთდროულად შესაძლებელია 26 სტუდენტის სწავლება აუდიტორიების რაოდენობის და ფართის გათვალისწინებით.*

*პროგრამის განხორციელება სწავლების მეორე და მესამე წელს იგეგმება კლინიკურ ბაზებზე, რასაც ადასტურებს პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები. კლინიკური ბაზების დათვალიერებისას და ადგილზე პრაქტიკის განმახორციელებელი პირების გასაუბრებისას დადასტურდა პრაქტიკული ობიექტების მზაობა 78 სტუდენტის მიღებაზე.*

*დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კონტიგენტი ქალაქ ქუთაისში განისაზღვრება 78 პროფესიული სტუდენტით, რაც სრულიად შეესაბამისობაშია კოლეჯის მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან.*

*<u>თბილისი, ბაქრაძის ქ. N6:</u> პროგრამას ემსახურება 1 A გარემო (60 კვ.მ), რომელიც გათვლილია 30 სტუდენტზე და მოწყობილია შესაბამისი აღჭურვილობით და 1 B გარემო 16 კომპიუტერით და შესაბამისი მაგიდა-სკამებით, მასწავლებლის მაგიდით და კომპიუტერით, პროექტორით, პრინტერი-სკანერი-ქსეროქსის (კომბაინი) აპარატით. შესაბამისად, 1 ცვლაში ერთდროულად შესაძლებელია 30 სტუდენტის სწავლება აუდიტორიების რაოდენობის და ფართის გათვალისწინებით.*

*პროგრამის განხორციელება სწავლების მეორე და მესამე წელს იგეგმება კლინიკურ ბაზებზე, რასაც ადასტურებს პრაქტიკის ობიექტებთან დადებული ხელშეკრულებები. კლინიკური ბაზების დათვალიერებისას და ადგილზე პრაქტიკის განმახორციელებელი პირების გასაუბრებისას დადასტურდა პრაქტიკული ობიექტების მზაობა 90 სტუდენტის მიღებაზე.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*დაწესებულების მიერ მოთხოვნილი კონტიგენტი ქალაქ თბილისში განისაზღვრება 90 პროფესიული სტუდენტით, რაც სრულიად შეესაბამისობაშია კოლეჯის მატერიალურ და ადამიანურ რესურსებთან.*

***საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია (სააფთიაქო)“ –***

*კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქო) განსახორციელებლად გათვალისწინებული აქვს A, B, C (პროგრამის მოთხოვნების მიხედვით აღჭურვილი) გარემო.*

*ქუთაისი, ოცხელის ქ. N2: C-გარემო (ლაბორატორია) 14 პროფესიული სტუდენტის მაგიდა-სკამი, კომპიუტერი , მონიტორი, მოდულების განხორციელებისთვის პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა-ინვენტარი. აუდიტორია AC-გარემო (სიმულაციური აფთიაქი) 14 პროფესიული სტუდენტის მაგიდა-სკამი, კომპიუტერი, მონიტორი, მოდულების განსახორციელებლად პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა-ინვენტარი. კომპუტერული ლაბორატორია-16 ადგილი კომპუტერი+1, კომბაინი მონიტორით.*
*თბილისი, ბაქრაძის ქ. N6: C-გარემო (ლაბორატორია) 15 პროფესიული სტუდენტის მაგიდა-სკამი, კომპუტერი, მონიტორი, მოდულების განხორციელებისთვის პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა-ინვენტარი. აუდიტორია AC-გარემო (სიმულაციური აფთიაქი) 15 პროფესიული სტუდენტის მაგიდა-სკამი, კომპიუტერი, მონიტორი, მოდულების განსახორციელებლად პროგრამაში მითითებული აღჭურვილობა-ინვენტარი. კომპუტერული ლაბორატორია- 16 ადგილი კომპუტერი+1, კომბაინი მონიტორით.*

***ქ. ქუთაისი, საგანმანათლებლო პროგრამა „ბაღის აღმზრდელი“ –***

*დაწესებულება საკუთრებაში ფლობს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების საჭირო რესურსს, აღჭურვილია თეორიული და პრაქტიკული სწავლებისთვის საჭირო ავეჯითა და ინვენტარით.*

*ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „აღმზრდელი“ კოლეჯი იყენებს N 9 აუდიტორიას (AC გარემო - 54 კვ.მ), სადაც განთავსებულია:* 15 *ორადგილიანი მაგიდა (მათ შორის 1 მასწავლებლის), 28 სკამი (მათ შორის 1 მასწავლებლის), კომპიუტერი, კომბაინი, დაფა, პროექტორი, სწავლებისათვის საჭირო მასალა-ნედლეული.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *დაწესებულების ადმინისტრაციასთან გასაუბრებით;*

**შეფასება:**

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.2 დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, ქალებისა და მამაკაცებისათვის ცალ–ცალკე არსებულ სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ/ ჰიგიენური ნორმები. ზოგადად შენობაში , ყველა აუდიტორია და ოთახი უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობა.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *კომუნალური გადასახადების ქვითრებით.*

**შეფასება:**

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.3 დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებულ ლიტერატურას. სამკითხველო დარბაზი აღჭურვილია სათანადო კომპიუტერული ტექნიკითა და შესაძლებელია ელექტრონული კატალოგით სარგებლობა. პროფესიულ სტუდენტებსა და პროფესიულ მასწავლებლებს საშუალება აქვთ, შეუზღუდავად ისარგებლონ ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერებით.*

*დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომელიც განთავსებულია ვებ გვერდზე და ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას არის გამოკრული.*

*ბიბლიოთეკაში არსებული წიგნადი ფონდი, ადგილზე იქნა დათვალიერებული და შედეგად (შემთხვევითი შერჩევის პრინციპით) დადგინდა, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში/მოდულებში მითითებული ლიტერატურის არსებობა/შესაბამისობა.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;*
- *ბიბლიოთეკის დებულებით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ვებ გვერდით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

**შეფასება:**

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.4 საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებას საკუთრებაში აქვს და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს იყენებს საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე, დაწესებულების მართვაში.*

| | | კომპიუტერები | პროექტორი/ მონიტორი |
|---|---|---|---|
| 1 | კომპიუტერული კლასი B გარემო (ქუთაისი) | 17 | 1 |
| 2 | კომპიუტერული კლასი B გარემო (თბილისი) | 17 | 1 |
| 3 | ადმინისტრაცია (ქუთაისი) | 4 | |
| 4 | ადმინისტრაცია (თბილისი) | 2 | |
| 5 | ბიბლიოთეკა (ქუთაისი) | 2 | |
| 6 | ბიბლიოთეკა (თბილისი) | 2 | |
| 7 | აუდიტორიები (თბილისი) | 6 | 4/1 პროექტორი |
| 8 | აუდიტორიები (ქუთაისი) | 6 | 4/2 პროექტორი |

*სულ ქუთაისის გაზაზე კოლეჯს გააჩნია – 29 კომპიუტერი, თბილისის გაზაზე – 27 კომპიუტერი.*

*სასწავლო დაწესებულებაში, როგორც სასწავლო გარემოში, ადმინისტრაციისთვის განკუთვნილ ოთახებში და დერეფნებში ხელმისაწვდომია სადენიანი და უსადენო ინტერნეტ კავშირი.*

**დასტურდება** *(მტკიცებულება/ინდიკატორები):*

- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით;*
- *ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით;*
- *სატელეკომუნიკაციო მომსახურების გადახდის ქვითრებით.*
- *ადმინისტრაციასთან გასაუბრებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

**შეფასება:**

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. კოლეჯში საქმისწარმოების ინსტრუქციის შესაბამისად ხდება გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა. დაწესებულებას აქვს სარეგისტრაციო, საერთო ბრძანებების, სახელმწიფო შესყიდვების ბრძანებების და სტუდენტთა ხელშეკრულების ჟურნალები. ჟურნალები დანომრილია, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, რაც უზრუნველყოფს სანდოობას და მთლიანობას. შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა ბრძანებების გატარების სისწორეც.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *დებულებით საქმისწარმოების შესახებ;*
- *შესაბამისი ჟურნალებით.*

**შეფასება:**

- ■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.6 დაწესებულებაში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**

**ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;**
**ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;**
**გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;**
**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*კოლეჯში დაცულია პერსონალის, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: ა) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი; ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა; გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები; დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონის“ ქონების, მატერიალური რესურსების მართვის, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს კოლეჯის დამხმარე სტრუქტურულ ერთეულს. 2. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, კანონქვემდებარე აქტებით, კოლეჯის წესდებითა და წინამდებარე დებულებით. 3. სამსახური თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვალდებულია კოლეჯის დირექტორის წინაშე, ასრულებს კანონით გათვალისწინებულ, დირექტორის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ მოვალეობებს. დაცვისა და უსაფრთხოების კუთხით სამსახურს ევალება: ა) იზრუნოს კოლეჯის შენობების, სტუდენტებისა და თანამშრომლების უსაფრთხოებაზე; ბ) აღრიცხოს და დაიცვას კოლეჯის ქონება დაზიანებისაგან; გ) გამოავლინოს შინა განაწესის დამრღვევები და რეაგირებისათვის გადასცეს ადმინისტრაციას; დ) არ დაუშვას შენობებში უცხო პირთა უსაქმოდ ყოფნა; ე) აღრიცხოს თანამშრომელთა კოლეჯში მოსვლა–წასვლის დრო და შესაბამისი ინფორმაცია მიაწოდოს ადმინისტრაციას. ვ) აწარმოოს კოლეჯში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის კონტროლისთვის სპეციალური აღრიცხვის ჟურნალი. ზ) რეგულარულად გააკონტროლოს ცეცხლმაქრების ვარგისიანობა (წნევის ვარდნა). კარგად იცნობდეს ევაკუაციის პროცედურებს (ევაკუაციის გეგმაშია მოცემული) და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს სტუდენტების და თანამშრმლების დაწესებულებიდან სწრაფად და ორგანიზებულად გაყვანა. ასევე დროულად უზრუნველყოს საგანგებო სიტაციების მართვის სამსახურში დარეკვა და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება.*

*კოლეჯის ორივე მისამართზე თითოეულ სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა.*

*დაწესებულებაში ორივე მისამართზე განთავსებულია სამედიცინო დახმარების ოთახი შესაბამისი ინვენტარითა და გამოსაყენებლად ვარგისი პირველადი სამედიცინო მედიკამენტებით. დაწესებულებას ხელშეკრულებით ჰყავს ქუთაისის კოლეჯში ექთანი, ხოლო თბილისის კოლეჯში –ექიმი.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ხელშეკრულებით სახანძრო უსაფრთხოების სფეროში მომსახურეობის გაწევაზე;*
- *˜საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;*
- *ვიზუალური დათვალიერებით;*
- *ექიმთან, ექთანთან გაფორმებული ხელშეკრულებით.*

**შეფასება:**

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.7 დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

*დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის. შეზღუდული შესაძლებლობების (გადაადგილების, მოტორული, მეტყველებისა და სხვა დარღვევათა) მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას დაწესებულება უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, კერძოდ,*

*ქუთაისში, ოცხელის ქ., N2 განთავსებულ ფართზე (მე5 და მე–6 სართული) ყველა კიბის უჯრედზე დამონტაჟებულია ხის კონსტრუქციის ასაკეცი პანდუსები. თუმცა სასურველია მოხდეს პანდუსების მოდიფიცირება ან - ალტერნატივის სახით ლიფტის დამონტაჟება. კოლეჯის დირექტორის განმარტებით მიმდინარეობს ლიფტის მონტაჟისათვის საჭირო სამუშაოები. სველი წერტილები ადაპტირებულია.*

*თბილისში, ბაქრაძის ქ.,6–ში (მე–2 და მე–3 სართული) ფუნქციონირებს ლიფტი, შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია ასაკეცი პანდუსები.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვიზუალური დათვალიერებით.*

**შეფასება:**

- [x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული
- [ ] ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.8 ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*საზოგადოებრივი კოლეჯის „კავკასიონი“ ვებ გვერდის მისამართია www.kavkasioni.edu.ge, . ვებ გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია ინფორმაცია ადმინისტრაციის, პროფესიული მასწავლებლებისა და პერსონალის შესახებ. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, ინფორმაცია პრაქტიკის ბაზების შესახებ. ვებ გვერდზე შესაძლებელია შემდეგი სახის ინფორმაციის დათვალიერება: ავტორიზაცია, შეფასების სისტემა, მისია, ნორმატიული დოკუმენტები, სტრუქტურა, სტრატეგიული განვითარების მოკლე– და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმები, ვაკანსია. ვებ გვერდიდან შესაძლებელია წვდომა ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებთან და ბიბლიოთეკის დებულების გაცნობა. ვებგვერდზე მუდმივად ხდება სსტუდენტური აქტივობების განთავსება. ვებგვერდის განახლება ხდება რეგულარულად. ვებ გვერდზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *ვებ გვერდით www.kavkasioni.edu.ge*

**შეფასება:**

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**2.9 შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*შპს საზოგადოებრივ კოლეჯს „კავკასიონი“ შემუშავებული აქვს განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) 2018–2024წწ (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს დირექტორის ბრძანებით No27/2, 05.07.2019წ) და ერთწლიანი 2018–2019 ს/წ (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს დირექტორი ბრძანებით No56, 7.06.2018) სამოქმედო გეგმები.*

*ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ორიენტირებულია მის განხორციელებაზე. მასში განთავსებულია ინფორმაცია განსახორციელებელი აქტივობების, განხორციელების პერიოდის შესახებ, შემსრულებლების შესახებ. კოლეჯის ვებ საიტზე www.kavkasioni.edu.ge განთავსებულია 2017–2018 და 2018–2019 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშები.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) 2018–2024წწ (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს დირექტორის ბრძანებით No27/2, 05.07.2019წ) სამოქმედო გეგმა;*
- *ერთწლიანი 2018–2019 ს/წ (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს დირექტორი ბრძანებით No56, 7.06.2018) სამოქმედო გეგმა;*
- *ვებ საიტით www.kavkasioni.edu.ge.*

**შეფასება:**

[x] ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3. ადამიანური რესურსი**

**3.1 დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*

*დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს. პერსონალის მიღების წესი გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მუხლი 67–ით. დებულების თანახმად, კოლეჯის პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პერსონალის მიღება შეიძლება ღია კონკურსის წესით, დირექტორს აქვს უფლება კოლეჯის ინტერესებიდან გამომდინარე, კონკურსის გარეშეც მოიწვიოს კოლეჯში სასწავლო პროცესის ამაღლებისათვის საჭირო შესაბამისი კვალიფიკაციის პედაგოგიური პერსონალი. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 2 და არა უმეტეს 3 კვირისა. კონკურსი ტარდება საბუთების მიღების დასრულებიდან არანაკლებ 1 და არა უგვიანეს 2 თვის ვადაში. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა განთავსდეს კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა და წარმოსადგენი დოკუმენტთა ნუსხა. კონკურსის ჩატარების წესს განსაზღვრავს დირექტორი. დირექტორი უფლებამოსილია კოლეჯში მეცადინეობების ჩასატარებლად მოიწვიოს პედაგოგიური პერსონალი საათური ანაზღაურების წესით.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მუხლი 67–ით. (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს დირექტორის ბრძანებით №27/2, 05.07.2019 წელი);*
- *პერსონალის პირადი საქმეებით*

**შეფასება:**

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.2 საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“-ს პროფესიულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს და დაკავებულ პოზიციებს.*

*ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი შესაბამისი კვალიფიკაციის მინიმუმ ერთი პირი, კერძოდ*

*<u>ქ. ქუთაისში –</u>*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

____ _____

*(თბილისი, 2019წ)*

- *საგანმანათლებლო პროგრამის „აღმზრდელი“ განხორციელებისთვის გათვალისწინებულია 12 პირი,*
- *„ფარმაცია (სააფთიაქო)“- სთვის - 15 პირი (56 სტუდენტისათვის);*
- *საექთნო საქმე – 26 პირი (76 სტუდენტისათვის);*

*ქ. თბილისში –*

- *„ფარმაცია (სააფთიაქო)“- სთვის - 15 პირი (60 სტუდენტისათვის)*
- *საექთნო საქმე – 20 მასწავლებელი (90 სტუდენტისათვის).*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *პროფესიულ მასწავლებელთა პირადი საქმეებით და მათთან გაფორმებული ხელშეკრულებებით;*
- *პროგრამის განმახორციელებელ პირთა ჩამონათვალით*

**შეფასება:**

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

**3.3 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.**

**ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

*პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება პერსონალის სამსახურში მიღების წესით განსაზღვრული პირობებითა და ვადით. კოლეჯის პერსონალი ვალდებულია კოლეჯში თანამშრომლობის დაწყებამდე განცხადებასთან ერთად წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.2. პირადი ინფორმაცია CV 3. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დიპლომი,სერთიფიკატი და სხვა).*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- *საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებების მუხლი 69–ით. (დამტკიცებულია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „კავკასიონი“ს დირექტორის ბრძანებით №27/2, 05.07.2019 წელი);*
- *პირადი საქმეების გადამოწმებით;*

**შეფასება:**

[redacted]ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---- -

*(თბილისი, 2019წ)*

## VIII. პროგრამების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური / დონე | მისანიჭებელი კვალიფიკაცია (სპეციალიზაციის / სწავლის დეტალური სფეროს კოდის მითითებით) | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | კრედიტების რაოდენობა მოდულური პროგრამის არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | სწავლების ენა | პროგრამის განხორციელების მისამართები | სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობა (მისამართების მიხედვით) | ადგილების საერთო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | აღმზრდელი (მოდულური) | მეხუთე საფეხური | მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში 030255 | 116 | 146 | ქართული | ქუთაისი, ოცხელის ქ. 2 | 0 | 54 |
| 2 | საქმე (მოდულური) | მეხუთე დონე/საფეხური | ა) ასოცირებული ხარისხი საქთნო საქმეში (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან; 0913 ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საქთნო საქმეში (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი). 090552 | 180 | 210 | ქართული | ქუთაისი, ოცხელის N2<br>თბილისი, ბაქრაძის N6 | 0 | (ქუთაისი, ოცხელის N2) 78<br>(თბილისი, ბაქრაძის N6) 90 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

_____

_____

*(თბილისი, 2019წ)*

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | ფარმაცია (საფთიაქო) (მოდულური) | მეხუთე დონე/საფეხური | ა) ასოცირებული ხარისხი ფარმაციაში / Associate Degree in Pharmacy (ამოქმედდეს 2020 წლის 29 თებერვლიდან) კოდი 0916<br>ბ) მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში/Fifth Level Vocational Qualification in Pharmacy (მოქმედების ვადა 2020 წლის 29 თებერვალი. კოდი 090352 | 123 | 153 | ქართული | ქუთაისი, ოცხელის N2 | 0 | (ქუთაისი, ოცხელის N2) 56 |
| | | | | | | | თბილისი, ბაქრაძის N6 | | (თბილისი, ბაქრაძის N6) 60 |

## IX. თანდართული დოკუმენტაცია

9/09/2019წ
ქ. თბილისი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------

---

---

*(თბილისი, 2019წ)*